



პლანეტაზე სიცოცხლის შესახებ ანგარიში 2020

საერთაშორისო ახალგაზრდებისთვის
მომავლის გზამკვლევი

რას წარმოადგენს პლანეტაზე სიცოცხლის შესახებ ანგარიში?

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) ყოველ ორ წელიწადში ერთხელ
 გამოსცემს პლანეტაზე სიცოცხლის შესახებ ანგარიშს, რომლის მომზადებაში
 წვლილი შეაქვთ წამყვან ექსპერტებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს.
 ანგარიშში წარმოდგენილია პლანეტის სიჯანსაღის მეცნიერული შეფასება,
 რომელიც ასახავს, თუ რა მდგომარეობაშია ცოცხალი ბუნება, რა საფრთხეების
 წინაშეა ის და რა ზემოქმედებას ახდენს ყოველივე ეს ადამიანებზე.
 ანგარიშში მოცემული დასკვნები და რეკომენდაციები დაფუძნებულია
 ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის სხვადასხვა მეთოდით განსაზღვრულ
 ანალიზზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი პლანეტაზე სიცოცხლის
 ხარისხის ინდექსის გაზომვაა.

პლანეტაზე
 სიცოცხლის
 შესახებ
 ანგარიში
 (LPR)

კონსერვაციის, გიზნაუბის
 და მთავრობების ქმედებების
 მიმართულებით განსაზღვრის
 მიზნით ყოველ ორ წელიწადში
 ერთხელ პლანეტაზე სიცოცხლის
 შესახებ ანგარიში დასკვნების
 გამოქვეყნება

რას განსაზღვრავს პლანეტაზე სიცოცხლის ხარისხის ინდექსი (LPI)?

ექსპერტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ზომავენ ცხოველთა
 ათასობით სახეობის პოპულაციებში მიმდინარე ცვლილებებს
 გარკვეული დროის მონაკვეთში. მაგალითად, როგორცაა სავანაში
 ვნუს რაოდენობის აღრიცხვა, ამაზონის ტროპიკულ ტყეებში
 ფოტოზაფხანგებით ტაპირების გადაადგილების დაფიქსირება. მიღებული
 შედეგების მიხედვით მეცნიერები ქმნიან მონაცემთა ბაზებს და
 აანალიზებენ მათ, რათა გაზომონ პლანეტაზე სიცოცხლის ხარისხის
 ინდექსი (LPI).

პლანეტაზე სიცოცხლის ხარისხის ინდექსის (LPI) გასაზომად
 გამოიყენება მხოლოდ იმ სახეობების შესახებ შეგროვებული
 მონაცემები, რომლებზეც სულ მცირე 2 წლის განმავლობაში
 ზორციელდება მონიტორინგი და რომლებიც 1970 წლიდან გარკვეული
 პერიოდის მონაკვეთშია აღრიცხული. მიუხედავად ამისა, პლანეტაზე
 სიცოცხლის ხარისხის ინდექსის (LPI) მეშვეობით შესაძლებელი ხდება,
 დაგაკვირდეთ, რა ცვლილებები მიმდინარეობს ძუძუმწოვრების,
 ფრინველების, ამფიბიებისა და თევზების 21,000-ზე მეტ
 პოპულაციაში. მეცნიერების მიერ ამ მონაცემებში
 გამოვლენილი ტენდენციები მათ მსხვილი ეკოსისტემების
 სიჯანსაღის შესახებ დასკვნების გამოტანაში ეხმარება.

საეცნიერო კვლევები,
 ცვლილებების
 მიზნები და მათი
 გავრცელება
 ზემოქმედება

მეცნიერების მიერ
 ველური გუნების
 პოპულაციების
 რაოდენობისა და
 გადაადგილების
 მონიტორინგი

გლობალური
 ველური გუნების
 პოპულაციები

ჩვენი
 პლანეტა

მოქალაქეთა მონაწილეობა
 საეცნიერო კვლევებში

უოტსაპუნები

გლობალური ადგილმდებარეობის
 მანქანაგზარკის სისტემის გამოყენება

სATELITური
 გამოკვლევები


სATELITური
 კვლევები

ნაკვეთები და პასპორტები
 მონიტორინგი

WWF - კონსერვაციის მსოფლიო ფონდი - მსოფლიო ბუნების დაცვის
 ორგანიზაცია

სოცხალი გუნების მდგომარეობა უარესდება

სტაბილური კლიმატი და უსაფრთხო ცხოვრების პირობები, რაც ვაცობრიობას მისი ისტორიის მანძილზე გააჩნდა და სახეობებს გადარჩენისა და რაოდენობრივი ზრდის საშუალებას აძლევდა, სიცოცხლის კომპლექსური სისტემის შედეგი იყო. ამგვარი სისტემისთვის ბიომრავალფეროვნებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და რადგან ჩვენ დამოკიდებული ვართ ცოცხალ არსებებზე და მათ შორის კომპლექსურ ურთიერთქმედებებზე, საკვების საწარმოებლად გვჭირდება სუფთა ჰაერი, სუფთა წყალი, სუფთა ატმოსფერო და ხელსაყრელი პირობები.



პლანეტაზე სიცოცხლის ხარისხის ინდექსი გვიჩვენებს, რომ მსოფლიო მასშტაბით ველური ბუნების პოპულაციები საშუალოდ 68%-ით შემცირდა და ეს ტენდენცია ჯერ კიდევ გრძელდება. ველური ბუნებისა და ადგილების ამგვარი შემცირება ადამიანის საქმიანობის შედეგია, ეს ხელს უშლის ცოცხალი სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, რაც აუცილებელია ადამიანების მზარდი პოპულაციის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პლანეტაზე სიცოცხლის ხარისხის ინდექსი (LPI) ერთ-ერთია მთელ რიგ ინდიკატორებს შორის, რაც ადასტურებს ბიომრავალფეროვნების კარგვას.


უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ადამიანის საქმიანობამ ტყეების, საძოვრების, ჭარბტენიანი ტერიტორიებისა და სხვა მნიშვნელოვანი ეკოსისტემების განადგურება და დეგრადაცია გამოიწვია. ყინულით დაუფარავი ზმელეთის ზედაპირის 75%-მა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, ოკეანეების უმეტესი ნაწილი დაბინძურებულია, ხოლო ჭარბტენიანი ტერიტორიების 85%-ზე მეტი განადგურდა. ეკოსისტემების რღვევის შედეგად ცხოველთა და მცენარეთა მილიონობით სახეობას (ცხოველთა და მცენარეთა 500,000 სახეობა, მწერების 500,000 სახეობა) შემდგომი ასი წლის მანძილზე გადაშენების საფრთხე ემუქრება,

თუმცა, გადაშენების საფრთხის პრევენცია შესაძლებელი გახდება, თუ ჩვენ განვახორციელებთ კონსერვაციის ქმედებებს და ხელს შევუწყობთ ბუნებრივი სამყაროს აღდგენის პროცესს.

პლანეტაზე სიცოცხლის ხარისხის ინდექსის (LPI) გრაფაში ნაჩვენებია ჩვენი პლანეტის ბიომრავალფეროვნებაში მიმდინარე ცვლილებები; წლების მიხედვით მრუდი ქვემოთ ეშვება, რადგან პოპულაციების შემცირების პროცესი ისევ გრძელდება. აუცილებელია გარდამტეხი ცვლილებები, რათა შევცვალოთ ეს ტენდენცია და შემოვაბრუნოთ ბიომრავალფეროვნების კარგვის პროცესი; ეს გულისხმობს არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნების შემცირების ტენდენციის შეჩერებას, არამედ მისი აღდგენისათვის საჭირო ცვლილებების გატარებას ისე, რომ გრაფაში აღნიშნული მრუდი აღმასვლით გაგრძელდეს, და ბიომრავალფეროვნების რაოდენობრივმა ზრდამ მიაღწიოს იმ დონეს, როგორიც წარსულში იყო. ეს არ იქნება მარტივი, თუმცა, თუ დროულად ვიმოქმედებთ და კარგად გავაცნობიერებთ, როგორ არის სიცოცხლის სისტემის სხვადასხვა ელემენტი ერთმანეთზე დამოკიდებული, ჩვენ შევძლებთ მსოფლიო მასშტაბით ველური ბუნების გაჯანსაღებისა და ადაპტაციის პროცესის დაწყების ხელშეწყობას.

90%

მიწისზედა მცხოვრები სახეობებისა თავისი სასიცოცხლო ციკლის ნაწილს ნიადაგში ატარებს.




სისოცხლე სეკლუთა

ნიადაგი ბუნებრივი გარემოს მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან უამრავი სახეობა ცხოვრობს მთლიანად ნიადაგ ქვეშ, მაგრამ ასევე, იმიტომ, რომ მიწისზედა მცხოვრები სახეობების 90% თავისი სასიცოცხლო ციკლის ნაწილს იქ ატარებს. ნიადაგში არსებული ბიომრავალფეროვნება თვითონ უზრუნველყოფს ნიადაგის ფორმირებას (დამშლელი ნივთიერებები მკვდარ მცენარეებსა და ცხოველებს ნუტრიენტებით მდიდარ ნიადაგად გარდაქმნის), ადამიანის საკეთილდღეოდ ნიადაგის ფუნქციონირებას და პლანეტის დანარჩენი ნაწილის გაჯანსაღებას. ჯანსაღი ნიადაგი ფილტრავს წყალს, ხელს უწყობს ატმოსფეროში სათბურის ეფექტის შემცირებას, მცენარეების ზრდას და, ასევე, ჯანსაღი საკვების წარმოებას.

თუ გავაცნობიერებთ, ჩვენი ქმედებებით როდის ვაყენებთ ზიანს ნიადაგის ბიომრავალფეროვნებას, მაგალითად, სავარგულებზე პესტიციდების გამოყენებისას, შევძლებთ იმ ცვლილებების განსაზღვრას, რაც დაგვჭირდება ნიადაგში არსებული ბიომრავალფეროვნების დასაცავად.

13%

ოკეანეებისა მიჩნეულია “ველურად”, არეალად, რომელიც არ განიცდის უშუალო ანთროპოგენულ ზეწოლას.



პრაქტიკული ქმედებები

გადაჭარბებული თევზჭერა, პლასტმასით დაბინძურება, წიაღისეულის მოპოვება ღრმა ზღვის ფსკერზე და კლიმატის ცვლილების შედეგად გაზრდილი ტემპერატურა გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს ოკეანის მდიდარ და მრავალფეროვან ბუნებაზე.

სიცოცხლის მომცველი ჯანსაღი ოკეანეები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ კლიმატის ცვლილების შერბილებაში და გლობალური ამინდის სისტემების რეგულირებაში; გარდა ამისა, ოკეანეები მსოფლიო მოსახლეობის 10%-ის საარსებო წყაროებს უზრუნველყოფენ. მარჯნის რიფები (რომლებიც გაზრდილი ტემპერატურისა და სანაპირო ზოლში მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობის გამო საფრთხის წინაშეა) თითქმის 200 მილიონამდე ადამიანს იცავენ შტორმული მოქცევებისა და ტალღებისაგან და ხელს უწყობენ ოკეანის მთლიანი ეკოსისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. ოკეანის ბიომრავალფეროვნების კარგვა უარყოფით გავლენას ახდენს პლანეტის ყოველ ცოცხალ არსებაზე.

ველური ბუნების სივრცეების შესაქმნელად და ოკეანის ბუნებრივი წონასწორობის აღსადგენად საჭიროა ზღვის დაცული ტერიტორიების (MPAs) დაარსება, ასევე, საჭიროა დასრულდეს პლასტმასით დაბინძურება და თევზჭერის მავნებლური მეთოდების გამოყენება.

90%

1700 წლიდან მოყოლებული, გლობალური ჭარბტენიანი ტერიტორიების 90% განადგურდა.



წყლის დაბინძურება

1900 წლის შემდგომ ადამიანის საქმიანობის ზემოქმედების შედეგად მსოფლიოში არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიების დაახლოებით 70% განადგურდა.

1970 წლის შემდგომ მტკნარი წყლის პოპულაციები საშუალოდ 84%-ით შემცირდა. მტკნარ წყალში მობინადრე სამი სახეობიდან ერთი გადაშენების საფრთხის წინაშეა. დიდი ზომის ცხოველები, როგორიცაა ჰოპოპოტამი, მდინარის დელტინები და თახვები, ზოგადად, ყველაზე დიდი რისკის წინაშე არიან.

მოუხედავად იმისა, რომ წყალს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, დედამიწაზე მტკნარი წყლის ეკოსისტემებს ყველაზე დიდი საფრთხე ემუქრება. კრიტიკული ჭარბტენიანი ჰაბიტატების დაცვა და გადაჭარბებული თევზჭერის შეჩერება - სწორედ ის ორი გზაა, რისი მეშვეობითაც შევძლებთ მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნების კარგვის თავიდან აცილებას.

1/3

მსოფლიოში ჩვენ მიერ წარმოებული საკვები პროდუქტების თითქმის 1/3 წონითი რაოდენობით არასოდეს მოიხმარება.



საკვები პროდუქტის გადამამუშავების მოხერხება

ჩვენს პლანეტაზე ზმელეთის ერთი მესამედი გამოიყენება სამეურნეო კულტურებისათვის ან საძოვრებად; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანები სამეურნეო საქმიანობისთვის მტკნარი წყლის 75%-ს მოიხმარენ. მსოფლიოში ჩვენ მიერ წარმოებული საკვები პროდუქტების თითქმის 1/3 წონითი რაოდენობით არასოდეს მოიხმარება. ის, შესაძლოა, უსარგებლოდ გაიხარჯოს წარმოების ან ტრანსპორტირების, დაფასოების და გაყიდვის პროცესში. საკვები პროდუქტების ნარჩენები წარმოქმნიან ატმოსფეროში გაფრქვეული გლობალური სათბურის გაზების დაახლოებით 8%-ს, მათ შორის იმ გაზების, რომლებიც ნივთიერებების დაშლის დროს ჩნდება. საკვები პროდუქტების ნარჩენების პრობლემა მოგვარებადია და თუ ჩვენ ამას შევძლებთ, ამ კუთხით ძირეულ ცვლილებებს მივაღწევთ.

რა გზისკენაა ჩვენი უმცირესი ადამიანები?

ჩვენი პლანეტა ფუნქციონირებს როგორც ცოცხალი სისტემა და უზრუნველყოფს ცხოველების ისეთ პირობებს, რაც ადამიანებს გადარჩენის საშუალებას აძლევს. ბიომრავალფეროვნება ამ სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ის ვეღარ შეძლებს მსგავს ფუნქციონირებას იმ შემთხვევაში, თუ ველური ბუნება და ველური არეალები შემცირდება. ბიომრავალფეროვნებას უდიდესი სარგებლობა მოაქვს, რასაც ჩვენ დავკარგავთ, თუ არ შევანერგებთ ბუნებრივი სამყაროს განადგურებას. უკვე აშკარაა, რომ დარღვეული ბუნებრივი წონასწორობისა და ბიომრავალფეროვნების კარგვა სხვა უამრავ პრობლემასაც იწვევს.

2019 წელს აფრიკაში დაიწყო უდაბნოს კალიების შემოსევა, რადგან იმ პერიოდისათვის უჩვეულოდ ინტენსიური წვიმების გამო არაბეთის ნახევარკუნძულზე კალიების გამრავლებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა; კალიებმა აღმოსავლეთ აფრიკისა და სამხრეთ აზიისაკენ დაიწყეს მიგრირება და დიდი რაოდენობით მოსავალი გაანადგურეს. ასევე, 2019 წელს უჩვეულოდ ხანგრძლივმა სიცხემ ძლიერი გვალვები გამოიწვია ინდოეთსა და პაკისტანში, რის გამოც ათასობით ადამიანი იძულებული გახდა საკუთარი სახლი დაეტოვებინა, უამრავი კი დაიღუპა. რამდენიმე თვის შემდეგ ავსტრალიაში დაიწყო ყველაზე გამანადგურებელი ტყის ხანძრები, რასაც კი ოდესმე ჰქონია ადგილი; 10 მილიონ ჰექტარზე მეტი ტყის ფართობი დაიწვა და უამრავი ცხოველი დაიღუპა. უჩვეულო წვიმების, რეკორდულად მაღალი ტემპერატურისა და გადაჭარბებული ჭრების გამო ეს კრიზისი კიდევ უფრო გამძაფრდა.

2020 წელს აქამდე უცნობმა კორონავირუსმა (კოვიდ-19) პანდემია გამოიწვია, რაც პლანეტის თითქმის ყველა ადამიანს შეეხო და უდიდესი ზემოქმედება მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე. ბოლო დროის ეპიდემიური დაავადებების (კოვიდ-19-ის ჩათვლით) 60% ცხოველებიდან მოდის, შემდეგ კი ადამიანებზე ვრცელდება იმის გამო, რომ ისინი ანადგურებენ ჰაბიტატებს, ეწევიან ველური ცხოველებით ვაჭრობას და ასდენენ შინაური ცხოველების კულტივირებას.

პლანეტაზე გარემო პირობები იცვლება და მეცნიერებმა უნდა შეისწავლონ და აღმოაჩინონ საკვების კულტურების სხვადასხვა სახეობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ განვადრდეთ ჩვენთვის საჭირო საკვების მოპოვება. თუმცა, თუ არ დავიცავთ ბიომრავალფეროვნებას, ნაკლები არჩევანი გვქონება იმის მისაღებად, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება. 2007 წელს პერუში, უანკაველიკას რეგიონში, კარტოფილის მოსავალი ყინვამ მთლიანად გაანადგურა, გარდა ერთი კონკრეტული სახეობისა. იმ შემთხვევაში, თუ პოპულაცია დამოკიდებული იქნებოდა მხოლოდ ერთი ტიპის, ნაკლებად ყინვა გამძლე სახეობაზე, შეიქმნებოდა მძიმე სასურსათო კრიზისი.

რა არის ბიომრავალფეროვნების შეფასების მიზანი?

ათწლეულებია, რაც ადამიანები რესურსებს უფრო სწრაფი ტემპით მოიხმარენ, ვიდრე ბუნებას შეუძლია მათი აღდგენა. ამჟამად ადამიანები იმაზე 1.6-ჯერ მეტ რესურსს იყენებენ, ვიდრე დედამიწას შეუძლია აღადგინოს. ეს ნიშნავს 1.6 დედამიწის ხარჯზე ცხოვრებას. ყოველწლიურად უფრო მეტად ვასუსტებთ ბუნებას და ვამცირებთ რესურსებს, შესაბამისად, უფრო ნაკლებ შესაძლებლობებს ვტოვებთ ჯანსაღი მომავლისთვის. ბიომრავალფეროვნების კარგვა ერთ-ერთი სიმპტომია იმ ზიანისა, რომელიც რესურსების არამდგრადი გამოყენების შედეგად მივიღეთ.

ეს კატასტროფები ადამიანის მიერ ბუნებრივ სამყაროზე მავნე ზემოქმედების შედეგია; გარემოს მიმართ უფრო ინტენსიური და სერიოზული ზიანის მიყენებას შესაძლოა გაცილებით მძიმე პრობლემები მოჰყვეს. დროთა განმავლობაში უფრო მეტად გართულებდა ისეთი სამყაროს შექმნა, რომელიც გაერთიანებული ერების მიერ დაწესებულ მდგრადი განვითარების მიზნებშია ასახული - ყველასთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობებითა და ჯანსაღი სიცოცხლით სავსე.

აშკარაა, რომ საკუთარი თავის გადასარჩენად კრტიკულად მნიშვნელოვანი გარემოს გადარჩენაა.

ბუნებრივი სამყაროს განადგურებით გამოწვეული კატასტროფების მზარდი რისკის ფონზე ჩვენთვის უფრო ნათელი ხდება, რაოდენ მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, თუ გვსურს, რომ გავუმკლავდეთ მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გარდაქმნების გამო ზოგიერთი სახეობა ვერ შეძლებს გადარჩენას. რაც უფრო დიდია სხვადასხვა სახეობის რაოდენობა და მრავალფეროვნება ეკოსისტემაში, მით უფრო მეტია ზოგიერთი სახეობის გადარჩენის შანსი: ისინი გადაშენებული სახეობების ადგილს დაიკავებენ და ამ გზით ეკოსისტემას გადაარჩენენ.

ადამიანებს, თავიანთი არსებობის მანძილზე, მეცნიერული მიღწევების განსახორციელებლად ბუნებრივ სამყაროში აღმოჩენილი ქიმიური ნივთიერებებისა და მასალების იმედი ჰქონდათ. ბიომრავალფეროვნების კარგვა შეიძლება ზოგიერთი ისეთი სახეობის გაქრობას გულისხმობდეს, რომელსაც მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალებებისა და მოსალოდნელი პრობლემების გადაჭრაში გამოვიყენებდით, თუმცა, შესაძლოა, მანამდე გადაშენდნენ, სანამ ამას აღმოვაჩენთ.

ბუნებრივი სამყარო არის ის რესურსი, რაც რისკის ქვეშ არ უნდა დავაყენოთ.



რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

აუცილებელია, რომ გავაცნობიეროთ პლანეტის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება და აღვადგინოთ ბუნებაში დარღვეული წონასწორობა, რაც ჩვენც და ბუნებასაც გადარჩენის საშუალებას მოგვცემს. ადამიანის მიერ ბუნებრივი სამყაროსადმი მიყენებული ზიანის აღდგენის სამი შესაძლო გზა არსებობს.

უარი ვთქვათ ერთ-ერთ ისეთ პროდუქტსა თუ ჩვევაზე, რომელიც ზიანის მომტანია. ამ მხრივ პრობლემა შეიძლება გახდეს ალტერნატიული გზის მოძებნა, რამაც, შესაძლოა, ახალი პრობლემები შექმნას.


აუცილებელია, შევამციროთ ზიანის მოცულობა და საშუალება მივცეთ ბუნებას, აღადგინოს ჩვენ მიერ მოხმარებული რესურსების მარაგი ან დააბალანსოს ანთროპოგენული ზეწოლა. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც ყველაზე მეტ რესურსს მოიხმარენ, დაკმაყოფილდნენ ნაკლები რესურსით, მოძებნონ გზები საკვები ნარჩენების შესამცირებლად და დაიწყონ ნარჩენების ხელახალი გამოყენება.

უნდა მოვძებნოთ ახალი გზები და ისე მივიღოთ ბუნებიდან იგივე სარგებელი, ზიანი რომ არ მივაყენოთ პლანეტას. ამის მაგალითია, ელექტრონული მოწყობილობების ასაშუშავებლად და სახლების გასათბობად წიაღისეული საწვავიდან მიღებული ენერგიის ნაცვლად განახლებადი ენერგიის გამოყენება.

მეცნიერების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ სამი ქმედების განხორციელება, თუ გვინდა, რომ დავიწყოთ მდგრადი მოხმარების პრინციპების შესაბამისად ცხოვრება და მომდევნო წლებში გარდამტეხი ცვლილებების მოხდენა.


1 საკვების წარმოებისა და მოხმარების გარდაქმნა ისე, რომ ვაწარმოოთ ყველასათვის საკმარისი პროდუქცია მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად. ეს გულისხმობს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას ნაკლები სივრცის გამოყენებით (ჰაბიტატის განადგურების შეჩერებით) და იმ ქიმიკატების შემცირებით, რომლებიც ზიანს აყენებენ ეკოსისტემას. ეს, ასევე, ნიშნავს საკვები ნარჩენების შემცირებას, საკვები რაციონის შეცვლას, და თევზჭერის პრაქტიკის შეცვლას იმგვარად, რაც განაპირობებს ოკეანეების გადარჩენას და ჩვენს მიერ მოხმარებული რესურსების ჩანაცვლებას.

ცვლილება სახლში: მიიღეთ მეტი მცენარეული საკვები, შეარჩიეთ ისეთი საკვები, რომლის წარმოება არ არის დაკავშირებული ტყეების განეხვასთან; შეიძინეთ ადგილობრივად წარმოებული საკვები.




2 ხელი შეუწყვეთ კლიმატის ცვლილების შერბილებას სათბურის აირების ემისიების შემცირებით და გააკეთეთ ინვესტირება განახლებადი ენერგიის ალტერნატივებში.

ცვლილება სახლში: შეამოწმეთ, რომ თქვენ მიერ მოხმარებული ენერგია განახლებადი წყაროებიდან იყოს მიღებული.



3 მიიღეთ ბუნების სასარგებლოდ მიმართული გადაწყვეტილებები. (ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას და საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებას), რაც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, აქტიურ როლს შეასრულებს კლიმატის ცვლილების შერბილებაში და დაიცავს ადამიანებს და ველურ ბუნებას კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედებისაგან. მაგალითად, სიფრთხილით შეარჩიეთ ადგილები ტყეების გასაშენებლად, რაც გააძლიერებს ლანდშაფტებს, გააუმჯობესებს ნიადაგის ხარისხს და შთანთქავს ნახშირბადს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას. ურბანულ გარემოში ხეები აუმჯობესებენ ჰაერის ხარისხს, ხელს უშლიან წყალდიდობებს, და საცხოვრებელ ადგილებში უზრუნველყოფენ სიგრილეს; ჩვეულებრივ, ხეების გარემოცვაში ცხოვრება და მუშაობა აუმჯობესებს ადამიანების ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

ცვლილება სახლში: იმოქმედეთ ლოკალურად და დაიცავით ადგილობრივი ბიომრავალფეროვნება.



კლანთა სისოცხლის შესახებ ანგარიში - 2020

1970 წლიდან მოყოლებული, ძუძუმწოვრების, თევზების, ფრინველების, რეპტილიებისა და ამფიბიების პოპულაცია საშუალოდ 68%-ით შემცირდა.

ვიზუალური გუნება-ზინის მიყენების გარეშე

ამჟამად ადამიანები მოიხმარენ იმაზე
1.6-ჯერ მეტ რესურსს, ვიდრე დედამიწას
შეუძლია აღიდგინოს.
ყოველწლიურად უფრო მეტად
ვასუსტებთ ბუნებას და მის უნარს,
დააკმაყოფილოს ჩვენი სამომავლო
მოთხოვნები.



გუნება-ზინის გარეშე მსირდება

ველური ბუნების
პოპულაციები
შემცირდა

68%

საშუალოდ,
1970 წლიდან.

მიწა- ჩვენშია



კლიმატის ცვლილება
ზემოქმედებას ახდენს
ეკოსისტემებზე




მიწის 30%
სამეურნეო
საქმიანობისათვის
გამოიყენება



ყველა სახის
საკვები
პროდუქტისა
იკარგება
ან უმიზნოდ
ინარჯება


ჩვენ გვჭირდება ბუნება



ბუნებრივი გარემოს
კარგვა აისახება
გლობალურ
ეკონომიკაზე



ბიომრავალფეროვნება
მნიშვნელოვანია
სასურსათო
უსაფრთხოებისათვის




ბუნება ჩვენი
ჯანმრთელობისა
და კეთილდღეობის
საფუძველია

ჩვენ შეგვიძლია ალვადგინოთ გუნება-ზინის გარეშე



**შეგვერატურის ზრდა: კლიმატის
ცვლილება და ბიომრავალფეროვნება**


დღემდე კლიმატის ცვლილება არ წარმოადგენდა ველური ბუნების შემცირების მნიშვნელოვან მიზეზს, თუმცა ამჟამად მეცნიერები ხედავენ გაზრდილი ტემპერატურის ველურ ბუნებაზე ზემოქმედების შედეგებს და ამკარაა, რომ მომდევნო წლებში ტემპერატურის ზრდის გამო საკმაოდ ბევრი სახეობა დადგება პრობლემის წინაშე. სახეობები, რომლებიც შეგუებული არიან გარკვეულ პირობებთან, აღნიშნული მიზეზის გამო იცვლიან გავრცელების არეალს, რაც ურყოფითად მოქმედებს დანარჩენ ეკოსისტემებზე. ზოგ შემთხვევაში, როდესაც ისინი არეალის შეცვლას ვერ ახერხებენ, იბრძვიან გადარჩენისათვის და ცდილობენ, შეეგუონ იმ ჰაბიტატში მიმდინარე ცვლილებებს, სადაც ბინადრობენ.



უყვავი

ჯანსაღი ტყეები შთანთქავენ ატმოსფეროში არსებულ ნახშირორჟანგს და აკავებენ მას ხეებში და ნიადაგში.


გლიმატის ცვლილება ზრდის ტყის ხანძრების რისკს და ინვაზიური მანებლების რაოდენობას, რაც განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ტყეებს, რომლებიც ადამიანის საქმიანობის გამო ფრაგმენტაციას განიცდიან.



მკვანძები

ჯანსაღი ოკეანის ეკოსისტემებში ატმოსფეროდან ნახშირბადის შეწოვის ფუნქციას ფიტოპლანქტონები ასრულებენ; ნახშირბადს ველური ბუნების ბიომასაში აკავებენ, რაც შემდგომ დეტრიტის სახით ოკეანის ფსკერზე გროვდება.

კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის იმ ძირითად ჰაბიტატებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ოკეანის ეკოსისტემების შენარჩუნებისათვის, მაგალითად მარჯნის რიფებს.



აგსტრალიაში უკანასკნელ პერიოდში, უზვეულოდ მაღალი ტემპერატურის გამო, ათასობით მფრინავი მეღა დაიღუპა. 2016 წელს აგსტრალიური მღრღნელი - ვირთაგვა იყო პირველი ძუძუმწოვარი, რომელიც უშუალოდ კლიმატის ცვლილების შედეგად გადაშენდა. ხშირი და ინტენსიური უტორმული ტალღები ანადგურებენ ვეგეტაციურ საფარს და განაპირობებენ ხმელეთზე საკვები ნივთიერებების შემცირებას.



სათბურის აირების
ემისიების

10%

ველური ხანძრების გამომწვევ
მიზეზად ითვლება.

**მსოფლიო ხანძრების
საერთაშორისო წინააღმდეგობა**


მსოფლიოში ყოველწლიურად იმატებს ბუნებრივი ხანძრების რიცხვი, რაც ანადგურებს ბუნებრივი ჰაბიტატების უზარმაზარ ფართობებს, როგორებიცაა, მაგალითად, ამაზონის ტროპიკული ტყეები და ავსტრალიური ბუნქნარები. ეს საფრთხეს უქმნის როგორც ადამიანებს, ასევე, ველურ ბუნებას. მსოფლიოში არსებული სათბურის აირების ემისიების 10% ბუნებრივი ხანძრების გამოშვევ მიზეზად ითვლება და კლიმატის ცვლილების გაძლიერებასთან ერთად, მათი რიცხვი და ხანგრძლივობაც მატულობს. ბუნებრივი ხანძრები რისკის ქვეშ აყენებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გადარჩენას და შესაძლოა, ეკოსისტემების წონასწორობაც დაარღვიოს იმ შემთხვევაში, თუ სახეობები ვერ შეძლებენ ხანძრებთან ადაპტაციას და გადაშენდებიან.

მტკნარი წყლები: დაცული ანალიზი

დედამიწის მტკნარი წყლის სისტემები უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებენ ყველა სახის სიცოცხლის გადარჩენისათვის - მათ შორს ადამიანების. თუმცა, მიუხედავად ამისა, პლანეტაზე არსებული მტკნარი წყლის ჰაბიტატები, როგორებიცაა მდინარეები, ნაკადულები, ჭარბტენიანი ტერიტორიები და ტბები, ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე არიან. ადამიანები სხვადასხვა ფორმით ზიანს აყენებენ მტკნარი წყლის უძვირფასეს ეკოსისტემებს. წყლის ბუნებრივი ნაკადის მიმართულებების ხელოვნური ცვლილებები და კაშხლები ამცირებენ წყლის დინებას, რის შედეგადაც საკვები ნივთიერებებით მდიდარი დანალექი წყლის მეშვეობით ეკოსისტემებში ჩაედინება. ეს განაპირობებს წყლის სისტემებს შორის არსებული კავშირის წყვეტას და ხელს უშლის სახეობების სიცოცხლის ციკლის ბუნებრივად დასრულებას.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

მეცნიერების გლობალური ჯგუფისა და პოლიტიკის ექსპერტების რეკომენდაციაა ზიანის შედეგების ლიკვიდაციის 6 პუნქტიანი გეგმის განხორციელება, რაც ეფუძნება პრაქტიკულ მეთოდებს და უზრუნველყოფს დრამატულად შემცირებული ბუნებრივი გარემოს აღდგენას.



ბუნებრივი გარემოს აღდგენის 6 საფეხური

- 1**
უზრუნველყოფით მდინარეების თავისუფალი დინება
- 2**
შეგამცირეთ გარემოს დაბინძურება
- 3**
დავიცვათ კრიტიკული ჭარბტენიანი ჰაბიტატები
- 4**
შევწყვიტოთ არამდგრადი თევზჭერა და მინერალების მოპოვება
- 5**
ვაკონტროლოთ ინვაზიური სახეობების გავრცელება
- 6**
აღვადგინოთ მდინარის სისტემების დაკავშირებადობა



Working to sustain the natural world for the benefit of people and wildlife.

together possible™

panda.org

© 2020

Paper 100% recycled

WWF, 28 rue Mauverney, 1196 Gland, Switzerland. Tel. +41 22 364 9111 CH-550.0.128.920-7

WWF® and World Wide Fund for Nature® trademarks and ©1986 Panda Symbol are owned by WWF-World Wide Fund For Nature (formerly World Wildlife Fund). All rights reserved.

For contact details and further information, please visit our international website at www.panda.org